შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

2021-2022 სასწავლო წელი

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის და მისი ხელმძღვანელის, შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. კვლევის მიზნები; ამოცანები; მეთოდოლოგია;
2. თემის აქტუალობა
3. კვლევის შერჩევა
4. კვლევის მონაცემები
5. დასკვნა; რეკომენდაციები

კვლევის მიზანი

- პროფესიულ სტუდენტთა სასწავლებლით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;
- პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენა;

კვლევის ამოცანები

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;
- კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;
- კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;
- პროფესიული მასწავლებლის შეფასება;
- სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- მეთოდი: შერეული (რაოდენობრივითვისებრივი)
- ინსტრუმენტი: რაოდენობრივი კითხვარი და კითხვები ფოკუს ჯგუფებისთვის.

თემის აქტუალობა

- პროფესიულ საგანმანათლებლო ორგანიზაცია რომ იყო კონკურენტუნარიანი და აკმაყოფილებდეს ერთის მხრივ სახელმწიფო სტანდარტდა მეორეს მხრივ, დამსაქმებლისა და სერვისით უშუალოდ მოსარგებლის - სტუდენტის მოთხოვნებს, აუცილებელია ს საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად ზრუნავდეს განვითარებაზე, იმ სერვისების გაუმჯობესებაზე რასაც სტუდენტს სთავაზობს.
- სტუდენტების უკუკავშირი კოლეჯთან, პროფესიულ განათლებასთან, საგანმანათლებლო პროგრამასთან და მასწავლებელთან მიმართებით იძლევა საშუალებას იმ ხარვეზებისა თუ საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის რაც წარმოადგენს პლაცდარმს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებისა და ცვლილებების ინიცირება/დაგეგმვა/განხორციელებისათვის.

კვლევის შერჩევა (რაოდენობრივი კვლევისთვის)

- შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- კვლევამ მოიცვა თითოეული პროგრამის სტუდენტების მინიმუმ 80%
- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 120 სტუდენტმა
- კვლევა განხორციელდა ელექტრონულად

კვლევის შერჩევა (თვისებრივი კვლევისთვის)

- ცდის პირების შერჩევა მოხდა თითოეული პროგრამიდან ერთი ფოკუს ჯგუფი (5-6 სტუდენტი)
- ფარმაციის და საექთნო განათლების პროგრამების შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე მოხდა თითოეულ პროგრამაზე ორი ფოკუს ჯგუფის შედგენა (5-6 სტუდენტი).

კვლევის მონაცემები

პროფესიულ სტუდენტთა კვლევის მონაცემები დამუშავდა შემდეგ მიმართულებებად:

- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება;
- კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება;
- კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება;
- პროფესიული მასწავლებლის შეფასება;
- სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

კვლევის მონაცემები

მონაწილე სტუდენტების ასაკობრივი მაჩვენებელი მოიცავდა 15-დან - 55 წლამდე:

- 15-დან - 18 წლამდე სტუდენტების რაოდენობა არის 9 - ყველა მათგანი სწავლობს ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამაზე;
- 19-25 წლამდე - 39 სტუდენტი - თითქმის თანაბრად მოიცავს ოთხივე პროგრამას;
- 26-35 წლამდე სულ 37 სტუდენტია - მოიცავენ სამ პროგრამას, ძირითადად ფარმაციას და საექთნო განათლებას;
- 36 წლიდან ზემოთ სწავლობს 35 სტუდენტი - მოიცავენ სამ პროგრამას: აღმზრდელი, საექთნო განათლება და ფარმაცია.

მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ კოლეჯში პროფესიული სტუდენტების ასაკობრივი მონაცემით 26 წლიდან ზემოთ უფრო პოპულარულია პროფესიული განათლება.

ხოლო სქესის მიხედვით სტუდენტთა განაწილება დამოკიდებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების შინაარსობრივი კუთხით, კოლეჯში სულ 6 მამრობითი სქესის სტუდენტია და ყველა მათგანი ინფორმაციის ტექნოლოგიების პროგრამაზე სწავლობს.

კვლევის მონაცემები

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეფასება

- სტუდენტების მიერ კოლეჯის შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზები. ინფორმაციის მიღების ყველაზე აქტუალური გზა არის ,,სოციალური ქსელი“



კვლევის მონაცემები

კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს იცნობს 93 სტუდენტი და ინფორმაციის მიღების გზად ასახელებენ:

- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია - 29 სტუდენტი;
- კოლეჯის ვებ-გვერდს და სოციალურ გვერდს - 55 სტუდენტი;
- კოლეჯში განთავსებულ საინფორმაციო დაფას - 4 სტუდენტი
- ღია კარის დღეს და საინფორმაციო ბუკლეტს - 5 სტუდენტი;

თუმცა ერთწლიანი სამოქმედო გეგმასა და 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მხოლოდ 5 სტუდენტი აცხადებს, რომ იცნობს. მათგან მხოლოდ 3 ახერხებს იმის დასახელებას, იციან მაგრამ არ ახსოვთ რა სახის ინფორმაციას შეიცავენ აღნიშნული გეგმები. ორი კი არასწორ ინფორმაციას ასახელებს.

კვლევის მონაცემები

სტუდენტების სურვილი მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.



კვლევის მონაცემები

კვლევის ინსტრუმენტით შევეცადეთ დაგვედგინა იცნობდნენ, თუ არა კოლეჯის შინაგანაწესს და რა სახის ინფორმაციას შეიცავდა მათი აზრით დოკუმენტი.

- 67 სტუდენტმა დააფიქსირა, რომ იცნობს კოლეჯის შინაგანაწესს;
- მათგან მხოლოდ 9 ვერ დაასახელა რა შინაარსის ან ინფორმაციის მატარებელია შინაგანაწესი;
- 58 სტუდენტის მიერ მოხდა სულ მცირე ერთი საკითხის დაფიქსირება მაინც, რაც შინაგანაწესშია მოცემული.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოხდა სტუდენტებთან ჩაკითხვა საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მათ იციან შინაგანაწესი რა სახის დოკუმენტია, ასახელებენ, რომ სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესახებ დოკუმენტი მიიღეს ადმინისტრაციისგან და ინახავენ კიდევაც სახლში, თუმცა მათ უჭირთ კონკრეტული უფლება-მოვალეობების დასახელება.

კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა დაასახელეს, როდის და ვის მიერ მიიღეს შინაგანაწესთან დაკავშირებით ინფორმაცია:



კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რომ:

- 88 სტუდენტმა იცის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის წესი და მათგან თითქმის უმრავლესობის მიერ მოხდა კონკრეტული გარემოებების დასახელება.
- 113 სტუდენტი აცხადებს, რომ ის ფლობს ინფორმაციას პროგრამის შესახებ, რომელზეც სწავლობს, მაგრამ გაუჭირდათ ხანგრძლივობის და კვალიფიკაციის დასახელება.

*- **ფარმაცია** - სტუდენტთა თითქმის უმრავლესობამ სწორად დაასახელა პროგრამის ხანგრძლივობა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას ვერ ასახელებენ სწორად.*

*- **აღმზრდელი** - უმრავლესობამ სწორად დაასახელა პროგრამის ხანგრძლივობა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას ვერ ასახელებენ სწორად.*

*- **საექთნო განათლება** - სტუდენტთა ნახევარმა შეძლო სწორად დაესახელებინა პროგრამის ხანგრძლივობა, მაგრამ სწორად ვერ დაასახელეს მისანიჭებელი კვალიფიკაცია;*

*- **ინფორმაციის ტექნოლოგიები** - მხოლოდ 2 სტუდენტმა შეძლო პროგრამის ხანგრძლივობის სრულად დასახელება, მაგრამ კვალიფიკაცია ვერ დაასახელეს სწორად.*

თვისებრივი კვლევის მონაცემებითაც იგივე მოცემულობა გამოიკვეთა.

კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა კოლეჯის მიერ მათთან კომუნიკაციისთვის დაასახელეს 6 საკომუნიკაციო გზის გამოყენება:



კვლევის მონაცემები

ასე გამოიყურება სტუდენტების მიერ ინფორმაციის ფლობა, სხვადასხვა საჭიროებების ან შეკითხვების დროს ვის უნდა მიმართონ კოლეჯში.

დებულებები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხი
ვიცი ვის მივმართო სასწავლო განრიგთან დაკავშირებით	113	3	5
ვიცი ვის მივმართო შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	108	5	7
ვიცი ვის მივმართო დაგროვებულ გაცდენებთან დაკავშირებით	111	4	5
ვიცი ვის მივმართო თუკი სასწავლო პროცესში არ მიმიწვდება ხელი საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსზე	97	9	14
ვიცი ვის მივმართო თუკი სასწავლო პროცესში არ მიმიწვდება ხელი საჭირო საგანმანათლებლო რესურსზე	104	7	9
ვიცი ვის მივმართო ცნობის მისაღებად	115	3	2
ვიცი ვის მივმართო დაწესებულებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით	104	4	12
ვიცი ვის მივმართო სწავლების პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით	108	8	4
ვიცი ვის მივმართო თუკი გარკვეული უკმაყოფილება მაქვს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით	105	3	12
ვიცი ვის მივმართო ჩემი უფლებების გაცნობისთვის ან/და დაწესებულებაში ჩემი უფლებების შელახვის შემთხვევაში	109	3	8
ვიცი ვის მივმართო თუკი მსურს სხვა დაწესებულებაში გადასვლა	100	8	12
ვიცი ვის მივმართო თუკი მსურს ფორმალური განათლების აღიარება	86	9	25
ვიცი ვის მივმართო თუკი მსურს სწავლის მიტოვება	110	9	7

კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შეფასება

სტუდენტებთან მათი ჩარიცხვის დროს და მიმდინარე დღეებში განხორციელებული პირველი აქტივობები



კვლევის მონაცემები

კვლევის მონაცემების შესწავლით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა სტუდენტთა კონსულტირება კარიერული დაგეგმვის და პროფორიენტაციის მიმართულებით:

- 84 სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათ გაეწიათ საპროფორიენტაციო კონსულტაცია, თუმცა იქვე 103 სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონიათ შეხვედრები და კონსულტაციები კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან.

მონაცემებს შორის გარკვეული უზუსტობაა კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან შეხვედრების/კონსულტაციების საკითხთან მიმართებით:

- თუ ერთი კითხვის ფარგლებში 22 სტუდენტმა აღნიშნა მსგავსი შეხვედრების არსებობა, მეორე კითხვის შემთხვევაში - მხოლოდ 17 სტუდენტმა.
- აქ ასევე ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მათგან მხოლოდ სამმა სტუდენტმა შეძლო კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის სახელის და გვარის დაფიქსირება და აღნიშნა, რომ კონსულტაცია გაეწიათ.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის მიერ დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გზები



კვლევის მონეცემები

დასაქმების ფორუმში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

- 93 სტუდენტი - მათ არ მიუღიათ კოლეჯის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში მონაწილეობა;
- მათგან 55 - გამოთქვამს სურვილს მონაწილეობის მიღებაზე;
- 38 სტუდენტს - სურვილი არ აქვს.

- 27 სტუდენტ- აქვთ დასაქმების ფორუმში მონაწილეობის გამოცდილება;
- მათგან 23 სტუდენტი - სურვილი აქვს დასაქმების ფორუმში ან სხვა მსგავსი სახის ღონისძიებებში მონაწილეობის;

დასაქმებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი გარემოება, კერძოდ კი ფოკუს ჯგუფებში მონაწილე სტუდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ყოველთვის ინფორმირებულნი არიან დასაქმების ფორუმთან დაკავშირებით, მაგრამ არ მონაწილეობენ, რადგან ისინი უკვე დასაქმებულნი არიან და სწავლობენ, რათა მიიღონ დარგობრივი ცოდნა და გაიუმჯობესონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

კვლევის მონაცემები

შპს მარნეულის კოლეჯი ყოველ წელს გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა არაფორმალური სახის. თუმცაღა მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო მათი ნაწილი ვერ განხორციელდა ან განხორციელდა მასშტაბების შემცირებით.

2021-2022 წელს კოლეჯს მიეცა საშუალება დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი გეგმის მიხედვით განეხორციელებინა და კვლევის ფარგლებში საინტერესო მონაცემი დაფიქსირდა:

- სტუდენტების ნაწილმა (74) იცოდა ამ ღონისძიებების შესახებ;
- მათგან მხოლოდ 10-მა მიიღო მონაწილეობა;
- დასახელდა ღონისძიებებიც - დედაენის დღისადმი მიძღვნილი, ქართული ენის კვირეული და 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული ღონისძიება.

კვლევის მონაცემები

ურთიერთობის ფორმები, რომლითაც სტუდენტებს შეუძლიათ კოლეჯის ადმინისტრაციას მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების და სურვილების შესახებ



გამოკითხული სტუდენტების თითქმის 60%-ს უჭირს ან არ იცის, როგორ ხდება კოლეჯში სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა, და საერთოდ თუ უზრუნველყოფს კოლეჯი სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

კვლევის მონაცემები

სტუდენტთა მოლოდინები შპს მარნეულის კოლეჯთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით სწავლის დაწყებამდე

გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა თითქმის ურმავლესობას ჰქონდა მოლოდინი, რომ მიიღებდა ხარისხიან პროფესიულ განათლებას და არა მარტო



კვლევის მონაცემები

სტუდენტთა მოლოდინების გამართლების მაჩვენებელი პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით



კვლევის მონაცემები

საინტერესო მონაცამები გამოიკვეთა თვისებრივი კვლევის შედეგად, სტუდენტების მოლოდინების შესახებ. როგორც მათ აღნიშნეს, უმეტეს შემთხვევაში მოლოდინები კი არ გაუმართლდათ, არამედ გადააჭარბა, რადგან არც ასეთ სწავლებას, გარემოს და პერსონალს არ ვარაუდობდნენ რომ დახვდებოდათ, რაც დახვდათ და რაც არის.

„ნაკლებს ველოდით და უფრო მეტს ვსწავლობთ ჩვენ აქ, ვიდრე მოველოდებოდით“

„ ვფიქრობდი უფრო შესუსტებულ სწავლებას, არ ვიცი რატომ მქონდა ასეთი წარმოდგენა, შეიძლება ეს სოციუმის ბრალიც არის ზოგადად ასეთი წარმოდგენა კოლეჯს როგორც გამოყოფენ, ანუ როგორ ახასიათებენ საერთოდ კოლეჯებს.. ..ახლა მე აღმზრდელი ვარ და ჩემს პრაქტიკაში აბსოლუტურად ყოველი ნაბიჯი გადადგმულია უკვე იმ აზროვნებით, რა აზროვნებაც აქ გვიყალიბდება“

კვლევის მონაცემები

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო სტუდენტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მდგრადობის შემოწმება შპს მარნეულის კოლეჯის არჩევის კუთხით:

- 104 სტუდენტი ისევ იგივე კოლეჯს აირჩევდა, 7 - არ არირჩევდა, ხოლო 9-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა

იმ 7 სტუდენტის მიერ დასახელებული მიზეზები, ვინც განაცხადა, რომ თავიდან ჩაბარების შემთხვევაში არ აირჩევდა შპს მარნეულის კოლეჯს:

- 1 დასახელდა ქართულ ენაზე მიმდინარე სასწავლო პროცესი;
- ერთი სტუდენტი ასახელებს შეფასების სისტემასთან არასერიოზულ მიდგომებს;
- 4-მა სტუდენტმა კი დაასახელა პრაქტიკული სწავლებების ნაკლებობა, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის პრაქტიკებზე ყოფნის დროს საავადმყოფოებში, აცხადებენ, რომ „კოლეჯში ვერ ვიღებთ შესაბამის პრაქტიკებს და არასაკმარისი პრაქტიკული ცოდნის გარეშე გვაგზავნიან საავადმყოფოებში“.

ხოლო კითხვაზე ურჩევდნენ თუ არა მეგობარს/ახლობელს/ნათესავს/თანასკოლელს შპს მარნეულის კოლეჯში ჩაბარებას გამოკითხულთაგან 116 სტუდენტმა აღნიშნა, რომ დიახ ურჩევდა.

კვლევის მონაცემები

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასება

- 109 სტუდენტის აღნიშნავს, რომ მასწავლებელი სწავლის დაწყების წინ აცნობს პროგრამას და მოდულს, რომელიც უნდა შეისწავლონ.
- სტუდენტთა თითქმის უმრავლესობამ 9 და 10 ქულით შეაფასა 10 ბალიანი შეფასების შკალაზე პროგრამის განხორციელების ხარისხი.

- ზოგიერთი მოდულის შემთხვევაში სტუდენტები თვლიან, რომ მისთვის დათობილი დრო ზედმეტია ხოლო ზოგჯერ არასაკმარისი, უცხოურ ენასთან დაკავშირებითაც მსგავსი შეფასება აქვთ.
- თვისებრივი კვლევის მონაცემებით გამოიკვეთა, პროგრამისთვის და მოდულებისთვის დათმობილი დრო საკმარისია და სრულად იძლევა თეორიული პრაქტიკული ცოდნის დაუფლების საშუალებას, აღმზრდელის და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების შემთხვევაში;
-თუმცა ფარმაციის და საექთნო განათლების პროგრამების სტუდენტებმა დაასახელეს მოდულები, რომლის სწავლებისთვის დათმობილი დრო არასაკმარისია თემატიკის სიმრავლის გამო (წამლის დოზირება, ავადმყოფის მოვლა, ანატომია).

კვლევის მონაცემები

სტუდენტების მიერ პროგრამის შინაარსობრივი მხარის შეფასების მონაცემები:

87 სტუდენტი თვლის, რომ მოდულის სწავლებისას სტუდენის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისია მასწავლებლის მიერ გამოყენებული დავალებები.

	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
ეს პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების განვითარებაში, რომელიც მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის	78	29	7	4	2
ეს პროგრამა მეხმარება იმ კომპეტენციების განვითარებაში, რომელიც დამეხმარება თვითდასაქმებაში	65	37	12	3	3
ეს პროგრამა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც აქტუალური/მნიშვნელოვანია ამ პროფესიისთვის	76	31	7	5	1
პროგრამაში შემავალი ყველა სავალდებულო მოდული პროფესიისთვის რელევანტურია	56	36	14	11	3
პროგრამაში შემავალი ყველა არჩევითი მოდული პროფესიისთვის რელევანტურია	52	47	11	10	0
ზოგიერთი მოდულის სწავლებაზე ზედმეტად დიდი დროა დათმობილი	19	29	24	41	7
ზოგიერთი მოდულის სწავლებაზე მეტისმეტად მცირე დროა დათმობილი	16	26	19	49	10
უცხოური ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე არ არის საკმარისი უცხოური ენის მოდულის ასათვისებლად	25	20	29	38	8
უცხოური ენის მოდულის სწავლებაზე ზედმეტად დიდი დროა დათმობილი	13	15	24	58	10
უცხოური ენის მოდულის სწავლებაზე მეტისმეტად მცირე დროა დათმობილი	20	25	29	41	5
მოდულების თანმიმდევრობა სწორად არის დალაგებული (რომელი მოდული უნდა გავიარო პირველ ჯერზე და რომელი შემდგომ)	63	37	11	9	0
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება მის შინაარსს	71	39	7	2	1
ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა ოპტიმალურია	63	47	7	3	0
ჩემთვის არსებული ცხრილი მისაღებია	70	41	7	2	0
პროგრამის ყველა სტუდენტი შეძლებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	53	38	22	5	2
პროგრამაზე ისეთი სტუდენტები მოხვდნენ, რომლებიც ვერ შეძლებენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	28	14	39	28	11

კვლევის მონაცემები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, სტუდენტებთან ასევე, მოხდა ჩაკითხვა პროგრამის ფარგლებში ხომ არ აღმოაჩინეს ისეთი თემები ან საკითხები, რომელიც შეისწავლეს მაგრამ არ საჭიროებდნენ:

- 91-მა სტუდენტმა აღნიშნა, რომ **არა,** 17-ს პასუხის ხ**გაცემა გაუჭირდა,** ოლო 12-მა განაცხადა **დიახ.**
- დასახელდა მოდულები, რომლის საჭიროებას ისინი ვერ ხედავე: - **მეწარმეობის მოდული, ინგლისურის არსებული დონე (საექთნო განათლების პროგრამა) და წამლის დამზადება.**

შპს მარნეულის კოლეჯი ყოველთვის გამოირჩევა იმით, რომ ადმინისტრაცია მუდმივად მხარში უდგას სტუდენტს და მუდამ მზად არიან სტუდენტებს გაუწიონ დახმარება სწავლის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად, რასაც კვლევის მონაცემების მიხედვით 111 სტუდენტი ეთანხმება

კვლევაში მონაწილე სტუდენტთა თითქმის აბსოლიტურმა უმრავლესობამ (106) 9 და 10 ქულაზე შეაფასა ადმინისტრაციის თანამშრომლების მხარდაჭერა.

კვლევის მონაცემები

თვისებრივი კვლევის დროს სტუდენტემა დააფიქსირეს მათი შეხედულება შერჩეული პროფესიის კონკურენტუნარიანობის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადობის, მთლიანად პროგრამით და სწავლით კმაყოფილების შესახებ:

- 4-ვე პროგრამის მიმართულებით გამოვლინდა, რომ სტუდენტების აზრით, მათი პროფესიები საკმაოდ მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა შრომის ბაზარზე, მითუმეტეს ისეთ რეგიონში როგორიც არის ქვემო ქართლი;
- რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ოჯახური პირობების გამო მუშაობას ჯერ ვერ იწყებს ხვალ, რომ გადაწყვიტონ მუშაობის დაწყება, უპრობლემოდ ნახავენ სამსახურს მიღებული პროფესიული განათლების დახმარებით.

სტუდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ისინი კმაყოფილნი არიან მათ მიერ არჩეული პროგრამით და კოლეჯმა გაამართლა მათი მოლოდინები, რომ ისინი ისეთ ხარისხიან განათლებას იღებენ, რომ სერიოზული კონკურენტუნარიანი კადრები არიან შრომის ბაზარზე.

კვლევის მონაცემები

კოლეჯში მოქმედი შეფასების სისტემის შეფასება

8 სტუდენტმა, რომელმაც აღნიშნა რომ შეფასების სისტემა არ არის ობიექტური, დაასახელა არაქართულ ენოვანი ბავშვებისთვის ქართულ ენაზე მიმდინარე სწავლა და გამოცდები



კვლევის მონაცემები

კვლევის მონაცემების მიხედვით, სტუდენტების უმრავლესობის შეფასებით, მასწავლებლები სრულად იცავენ და ახორციელებენ კოლეჯის რეგულაციებით გაწერილ ინფორმირებულობის წესებს გამოცდებთან დაკავშირებით

აპელაციის პროცედურები კი სტუდენტთა თითქმის ნახევარმა იცის მხოლოდ (63 -მა), დანარჩენს კი, ან უჭირს პასუხის გაცემა (32-ს), ან არ იცის (25-მა)



კვლევის მონაცემები

- თვისებრივი კვლევის მონაცემებითაც გამოიკვეთა სტუდენტთა მიერ შეფასების სისტემით კმაყოფილება.
- სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ არასდროს შეხვედრიათ გამოცდაზე საკითხი, რომელიც მათ მოდულით არ ქონდათ ნასწავლი.
- 6 ფოკუს ჯგუფის სტუდენტების მიერ აღინიშნა, რომ შეფასების სისტემა არის ობიექტური და არასდროს შეხვედრიათ რაიმე შემთხვევა, სადაც ეს ეჭვის ქვეშ დადგებოდა.
- არა ყველა ფოკუს ჯგუფში მაგრამ უმრავლესობაში აღინიშნა, რომ გამოცდაზე დაშვებული შეცდომების განხილვა ყოველთვის ხდება გამოცდის შემდეგ და მასწავლებელი მათ უხსნის იმ საკითხებს, რაც სწორად ვერ დაწერეს

კვლევის მონაცემები

პროფესიული მასწავლებლის შეფასება

სტუდენტის კმაყოფილების კვლევის ფარგლებში საკვლევ ობიექტს წარმოადგენდნენ კოლეჯის მასწავლებლებიც:

- მონაცემების შესწავლის შედეგად, ერთგვარ ეჭვს ბადებს სტუდენტების მიერ გულწრფელი პასუხების დაფიქსირების კუთხით, ან შეიძლება სტუდენტების შეფასებები გამოწვეული იყოს მათი მხრიდან არ ცოდნით, ისეთი საკითხების, როგორიც არის სწავლის მეთოდები, მრავალფეროვანი აქტივობები, სწორი განმავითარებელი შეფასება, უკუკავშირი.

- მასწავლებლების შეფასებისას სტუდენტების მიერ დადებითად შეფასდა ყველა დებულება, მაშინ, როდესაც ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ პროცესზე დასწრების შედეგად მოპოვებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ მასწავლებლები ცხრილში ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით საჭიროებენ მეთოდურ და პრაქტიკულ ტრენინგებს და აქტივობებს.

კვლევის მონაცემები

დებულებები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
მასწავლებელი ითვალისწინებს ჩემი სწავლის სტილს - როგორ უფრო მიადვილდება მასალის ათვისება	62	47	5	3	3
ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი კითხვებს გვისვამს, რათა დარწმუნდეს ყველაფერი ნამდვილად კარგად გავიგეთ თუ არა	69	46	2	2	1
მასწავლებელი ცდილობს ახალი საკითხით პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით დაგვაინტერესოს	67	46	3	2	2
ახალი სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი მოგვიწოდებს გამოვიყენოთ წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება	67	46	3	4	0
ახალი მასალის ახსნამდე ან ახალი სამუშაოს შესრულებამდე მასწავლებელი ცდილობს ჯერ მისით დაგვაინტერესოს	60	44	11	4	1
ახალი სამუშაოს დასწავლამდე, მასწავლებელი გვეკითხება, ჩვენი აზრით, როგორ სრულდება ის	56	45	15	3	1
ახალ სამუშაოს შესრულებისას, მასწავლებელი მუდმივად გვაკვირდება და გვაძლევს რჩევებს	64	49	5	2	0
მასწავლებელი ითვალისწინებს ჩვენ ინტერესებს და ცდილობს, გვასწავლოს ის საკითხები/შეგვასრულებინოს ის სამუშაოები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს	62	43	9	5	1
ახალი საკითხის ახსნამდე, მასწავლებელი გვეკითხება რა ვიცით მის შესახებ	65	46	4	3	2
მასწავლებელი რთულ საკითხებსაც მარტივად გვიხსნის	63	51	5	1	0
თუ რამეს ვერ ვიგებთ მასწავლებელი ცდილობს სხვანაირად აგვიხსნას	64	51	2	2	1

კვლევის მონაცემები

დებულებები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს (თეორიულად ხსნის მასალას, გვრთავს დისკუსიებში, გვიტარებს პრეზენტაციას, გვთავაზობს ფოტო ან ვიდეომასალას, ვასრულებთ პრაქტიკულ სამუშაოს და ა.შ.)	68	45	6	0	1
თეორიული მასალის ახსნის შემდეგ, მასწავლებელი გვაჩვენებს როგორ სრულდება ის რეალურ სამუშაო სიტუაციაში	60	54	5	1	0
მასწავლებელი, მანამდე ხსნის მასალას, სანამ ყველა მოსწავლე არ გაიგებს	61	48	7	2	2
სტუდენტები ვაფასებთ ერთმანეთის სამუშაოს და აზრს გამოვთქვამთ ერთმანეთის შესრულებულ სამუშაოზე	56	41	17	3	3
მასწავლებელი აკვირდება ჩემს მიერ სამუშაოს შესრულების პროცესს	64	50	5	1	0
მასწავლებელი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ნასწავლი მასალის შეჯამებაზე და ცდილობს, დარწმუნდეს, რომ ყველამ კარად გავიგეთ ახსნილი საკითხები	63	50	6	1	0
მასწავლებელი გვიხსნის რა გავაკეთეთ არასწორად სამუშაოს შესრულებისას და გვაძლევენ სასარგებლო რჩევებს	70	41	6	3	0
მასწავლებელი მიხსნის ჩემი რომელი მხარეები საჭიროებენ გაუმჯობესებას და განვითარებას	55	50	8	5	2
პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის დროულად მოდის ლექციაზე და შეთანხმებულ შეხვედრებზე	70	37	11	1	1
პროფესიული განათლების მასწავლებელი მიუკერძოებელია და ყველა სტუდენტს თანაბრად უნაწილებს დროს და ეხმარება სწავლის პროცესში	71	38	8	1	2

კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები ყოველთვის ამოწმებენ ახალი მასალა რამდენად გასაგები იყო სტუდენტისთვის

- მოყვანილი მაგალითების მიხედვით ძირითადად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია მხოლოდ კითხვები: *„- გასაგები იყო მასალა? რამე ხომ არ დაგრჩათ გაუგებარი? “*
- სტუდენტების მიერ დასახელებული მაგალითები ძირითადად ასახავდა მასწავლებლის მიერ კითხვა-პასუხის რეჟიმში საკითხების გავლა/გარკვევას.
- ვერ დაასახელეს ისეთი აქტივობა სადაც მასწავლებელმა შეამოწმა სტუდენტის მიერ ახალი მასალის გაგების ან დონე ან ხარისხი.
- მსგავსი მიდგომის გამოყენება დაფიქსირდა ორი პროგრამის ფოკუს ჯგუფებში:

- ერთის მხრივ (აღმზრდელი) სტუდენტები ასახელებდნენ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც მასწავლებელმა თეორიულად აუხსნა მასალა და დაავალა ჯგუფური სამუშაო.

- მეორე შემთხვევაში (ინფორმაციული ტექნოლოგიები) სტუდენტებმა საინტერესო მაგალითი მოიყვანეს ურთიერთსწავლების მიდგომის გამოყენებაზე კერძოდ:

„მასწავლებელი იმისთვის კიდევ მახსნევინებს მეც, თვითონაც უხსნის, ჩემი დახმარებთ, რომ მეც უკეთესად გავიგო კიდე და იმ პიროვნებამაც, ვისაც ვუხსნი მე.“

კვლევის მონაცემები

სასწავლო რესურსების და აღჭურვილობის შეფასება

ნაწილობრივ ხელმისაწვდომობის დასახელების არგუმენტებად დასახელდა სასწავლო მასალის მხოლოდ მასწავლებლის ხელში არსებობა, წიგნების ცოტა რაოდენობა, რის გამოც არ მიეწოდება ყველა სტუდენტს, კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა, არასრულყოფილი მასალა (სასწავლო მასალა არის მაგრამ სრულად არ მოიცავს შესასაწავლ საკთხებს).



აბსოლიტური უმრავლესობის მიერ რესურსებზე სტუდენტის ხელმისაწვდომობა შეფასდა 8-9-10 ქულებით.

კვლევის მონაცემები

კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება

კვლევის ფარგლებში კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასებაც მოხდა სტუდენტების მიერ და გამოიკვეთა, რომ თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა თავს გრძნობს დაცულად, კოლეჯში დადებითად აფასებს სანიტარულ - ჰიგიენურ ნორმებს და უსაფრთხოების ნორმებს სასწავლო პროცესის დროს, კოლეჯის გათბობის საკითხს



კვლევის მონაცემები

- ფოკუს ჯგუფებთან უსაფრთოხების საკითხებთან ერთად მოხდა პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხითაც ჩაკითხვა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ *„პირადი მონაცემებიც დაცულია, ჩვენ პირადად არ გაგვიგია, რომ ვიღაცის პირადი ინფორმაცია გასაჯაროვებულიყო.“*

- კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეფასების ობიექტია ბიბლიოთეკა და მისით სარგებლობით კმაყოფილება.
- სტუდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ იყენებს კოლეჯის ბიბლიოთეკას (104 სტუდენტი),
- 16 მათგანი ამბობს, რომ იყენებს და ასახელებს კიდეც გამოყენების შემთხვევებს.

კვლევის მონაცემები

სტუდენტების მიერ კოლეჯის ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების შეფასების მაჩვენებელი

დებულებები	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები	საერთოდ არ ვეთანხმები
კომპიუტერული მოწყობილობები გამართულად მუშაობს	68	43	5	4	0
კომპიუტერული მოწყობილობების რაოდენობა საკმარისია	56	51	5	8	0
შენობაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია	61	46	3	8	2
საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია IT სპეციალისტის დახმარება	46	52	19	3	0
სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია პროექტორი	56	47	13	4	0
სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია პრინტერი	60	52	5	3	0
დაწესებულების წარმომადგენლები მეხმარებიან კომპიუტერული მოწყობილობების გამოყენებაში	54	58	4	4	0
დაწესებულების წარმომადგენლები მეხმარებიან ონლაინ სწავლების პლატფორმების გამოყენებაში	53	57	3	7	0
მასწავლებლები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, გვეკონტაქტებიან ელ. ფოსტის საშუალებით	62	50	7	1	0
მასწავლებლები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, გვეკონტაქტებიან სოციალურ ქსელების გამოყენებით	65	50	3	2	0

კვლევის მონაცემები

სტუდენების მიერ ასევე დადებითად შეფასდა კოლეჯის ვებ-გვერდი და სოციალური გვერდი

ვებ-გვერდი 108, ხოლო სოციალური გვერდი 116 სტუდენტმა დაასახელა, როგორც მათთვის ინფორმატიული საშუალება.

თვისებრივი კვლევის დროსაც დაფიქსირდა სტუდენტების მიერ კოლეჯის ფეისბუქ გვერდის გამოყენების მაღალი სიხშირე და კმაყოფილება ინფორმაციის ხელმისავწდომობის და საჯაროობის კუთხით, თუმცაღა შედარებით ცოტა სტუდენტმა ისაუბრა კოლეჯის ვებ-გვერდის შესახებ.

კვლევის ფარგლებში მოხდა ჩაკითხვა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით, 102 სტუდენტმა განაცხადა რომ არ იციან რა შემთხვევაში შეუძლია სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლა, ხოლო დანარჩენმა 18 სტუდენტმა შეძლო ახსნა რა შემთხვევაშია ეს შესაძლებელი.

გამოიკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე 120 სტუდენტიდან არავის ჰქონია საჭიროება და თავისთავად არც უსარგებლია ინდვიდუალური სასწავლო გეგმით.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის მონაცემების შესწავლის და ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია, რასაც მოწმობს, სტუდენტების მხრიდან მაღალი პროცენტული მაჩვენებელი შპს მარნეულის კოლეჯში სწავლა/სწავლების პროცესებთან, სტუდენტურ სერვისებთან მათ უფლებებთან და ინფრასტრუქტურასთან მიმართებით;

თუმცა გამოიკვეთა საკითხებიც, რომელიც საჭიროებს უფრო სიღრმისეულ შესწავლას სტუდენტების პასუხების დაბალი სანდოობის გამო, ან კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის შესასწავლად;

თავის მხრივ კვლევის მონაცემების ანალიზმა გამოკვეთა კვლევის მეთოდოლოგიაში და ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანის საჭიროებაც.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის მონაცემების ანალიზი იძლევა გარკვეული რეკომენდაციების გაცემის საშუალებასაც, კერძოდ კარგი იქნება თუ პროცესების გაუმჯობესების კუთხით შპს მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ ყურადღება მიექცევა შემდეგ საკითხებს:

- პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის ამაღლება და პროფესიული განათლებით დაინტერესების მაჩვენებლის გაზრდა 16-26 წლის ახალგაზრდებში;
- ყურადღების გამახვილება კარიერული დაგეგმვის უზრუნველსაყოფად სწორად, მიზნობრივად და მრავალფეროვნად დაგეგმილი აქტივობები;
- სტუდენტური ცხოვრების გასაუმჯობესებლად და კოლეჯის საქმიანობაში მათი მონაწილეობის გაზრდა;
- სტუდენტების მხრიდან ინიციატივების წახალისების და სტუდენტების უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტური თვითმართველობის შექმნა;
- კოლეჯის მიერ სტუდენტებისთვის არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის დროს სტუდენტების ინტერესების გამოკვლევა და გათვალისწინება;

დასკვნა და რეკომენდაციები

სასწავლო წლის დასაწყისში და მის მანძილზე მიზნობრივი შეხვედრების დაგეგმვა, სტუდენტებისთვის ინფორმაციის გადაცემის მიზნით, შემდეგ საკითხებზე:

- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის გაცნობა;
- კოლეჯის საქმიანობაში მათი მონაწილეობის ფორმები;
- სტუდენტის უფლებები და მოვალეობები;
- პროგრამის და სტუდენტური სერვისების შესახებ;
- კვლევები და მონიტორინგი;
- საწარმო პრაქტიკა და კარიერულ დაგეგმვა.

დასკვნა და რეკომენდაციები

- დასახელებული შეხვედრების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება ზედა რგოლის მენეჯერების მეთვალყურეობით;
- საქართნო განათლების და ფარმაციის პროგრამებზე მოდულების ხანგრძლივობის გადახედვა (წამლის დამზადება, ანატომია, ავადმყოფის მოვლა, უცხო ენა);
- არაქართულ ენოვანი აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტებში ქართული ენის ფლობის დონის გადამოწმება. პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში მათი მოგვარების გზების დასახვა;
- აუცილებელია სწავლის შედეგების დასადასტურებელი პროცესების შემდეგ სტუდენტებთან შეცდომების განხილვა;
- მოცემული კვლევის და სხვა წყაროს მონაცემების შესწავლის შედეგად მასწავლებლების სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება;

დასკვნა და რეკომენდაციები

- სასწავლო რესურსებით, მასალით და აღჭურვილობით უშუალოდ სტუდენტის სარგებლობის უზრუნველყოფა;
- კოლეჯის ვებ-გვერდის პოპულარიზებაში ხელის შეწყობა. ინფორმაციის გამრავალფეროვნება;
- კოლეჯის სოციალური ქსელში არსებული გვერდზე კოლეჯში მიმდინარე მოვლენების და სიახლეების დროულად გამოქვეყნება;
- სტუდენტებთან ინფორმაციის გადასაცემად მასწავლებლების და პერსონალის მიერ, კოლეჯის რეგულაციებით დადგენილი სტრატეგიების გამოყენება;
- სასწავლო პროცესისა და მასწავლებლის სიღმირესული შეფასებისთვის კვლევის ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა;
- კვლევის ინსტრუმენტში სტუდენტებთა დასაქმების საკითხის შესწავლის მიზნით კითხვების დამატება.